წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულება N2023/14/---
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი NAT--------)

ქ. თბილისი -- -------202- წელი

ერთი მხრივ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდვლად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რევაზ კავთელიშვილის სახით და მეორე მხრივ, ---------- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის --------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია არქივის შენობაში არსებული მექანიკური კარადების შეკეთების მომსახურება (CPV - 50712000 - შენობის მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 გასაწევი მომსახურების ღირებულება და ერთეულის ფასი განისაზღვრება პრეისკურანტის დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 განახორციელოს მომსახურების გაწევა ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მისამართზე - ქ. თბილისში, ალიოშა ჯაფარიძის ქ. N 1-ში მდებარე არქივის შენობა.

4.1.2 მიმწოდებელი ვალდებულია, მიმართვიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი და უზრუნველყოს მასში მითითებული მომსახურების განხორციელება არაუგვიანეს დეფექტური აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღისა. თუ ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება ან/და სათადარიგო ნაწილი შესაკვეთია - მხარეთა მიერ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი / ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობებს შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2 ინსპექტირებას განახორციელებს მონაცემთა მართვის დეპარტამენტის არქივისა და მონაცემთა დამუშავების სამსახურის უფროსი ზურაბ ლაზუაშვილი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა უფლებამოსილი თანამშრომელი.
5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გაწეულ მომსახურებაში აღმოჩენილი წუნის გამოსწორება დაუყოვნებლივ.
5.5 ინსპექტირება გულისხმობს, როგორც შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და ხარისხის კონტროლს, ასევე ხელშეკრულებაში მითითებული ვადების კონტროლს.
5.6 ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია, აღნიშნულს შესახებ წერილობით აცნობოს შესყიდვების სამსახურს.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
6.2 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა მართვის დეპარტამენტის უფროსი ან დროებით მოვალეობის შემსრულებელი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
7.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
7.1.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.1.3 დაფინანსების წყარო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების ღირებულება, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას. თუ დამატებით ვადაში ან მიუხედავად გაფრთხილებისა მხარე კვლავ არ ასრულებს ან არსებითად არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხელშეკრულების არაჯეროვანად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.
9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება, წინამდებარე ხელშეკრულებაში, განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის
ლანა ჯიბლაძის სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასლის N22
ტელეფონი: 291-05-17
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი
შპს ----------
წარმოდგენილი --------- სახით,
მისამართი: ----------
ტელეფონი: ----------
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი/ბანკის კოდი: ----------
ა/ა ----------
ს/კ - ----------